ხელშეკრულება №257

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

17 დეკემბერი 2018 წ.

მცხეთა

ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „ულტრა“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის, კახაბერ ასათიანის სამსახურეობრივი ბარათის MES 6 18 01479520 საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ილია წინამძღვრიშილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის 2018 წლის სახელმწიფო სახსრებით, ამ მუხლის 1.2. პუნქტით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 CPV-30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები.

	CPV კოდი	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	30234000	მყარი დისკი: Seagate ST1000DM010 1TB	ცალი	1	148	148
			სულ (ლარი)			148

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 148 (ასორმოცდარვა) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს;

2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.2 ხელშეკრულების საგნის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში;

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;
- ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

- ✓ გადასცეს შემსყიდველს შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, დათქმულ დროსა და ადგილას;
- ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა ამისათვის საჭირო გონივრულ ვადაში;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

6.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში, ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამურის ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

11. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“
მის: მცხეთა მთიანეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგ. № 200122900
ელ- ფოსტა: tmkcommunitycollege@tmk.edu.ge
ტელ: +995 577 21 50 91

დირექტორი
თეიმურაზ ასათიანი

შპს "ულტრა"

ს/კ: : 206258182
მის: ღვინის აღმართი 23; ბოხუას 4
თიბისი ბანკი
კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიში:
ანგ. GE41TB7399736020100003
ელ-ფოსტა: onlinesales@ultra.ge
ტელ: +995 574 77 27 07/ 032 227 32 24

დირექტორი
ირაკლი კარბელაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ჩვენ, წინამდებარე აქტზე ხელმომწერი პირები, ამავე აქტზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“ საჭიროებისთვის, 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული N257 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „ულტრა“ შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

იურისტი
ნატო ჟიჟიაშვილი _____

შესყიდვების სპეციალისტი
ლია მოხევიშვილი _____

17.12.2018

მიღება-ჩაბარების აქტი №257

17 დეკემბერი 2018 წ.

ქ. მცხეთა

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემსყიდველი), წარმოდგენილი ლოჯისტიკის სპეციალისტის ბესიკ ბუჩუკურის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ულტრა“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილი სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №257 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი. შემსყიდველის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება 148 (ასორმოცდარვა) ლარი;

	CPV კოდი	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1		მყარი დისკი: Seagate ST1000DM010 1TB	ცალი	1	148	148
			სულ (ლარი)			148

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ინსპექტირების აქტი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-14 მუხლის შესაბამისად, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯსა და შპს „ულტრას“ შორის 2018 წლის 17 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N257 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისა და ინსპექტირების განხორციელების შედეგად დგინდება, რომ მომწოდებლის მიერ მოწოდებულია ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონლის შესყიდვა ვადების დაცვით.

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი

ბ. ბუჩუკური _____

17.12.2018